ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

<u>გაითვალისწინეთ</u>, რომ გამოცდა <u>ხუთი</u> ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა <u>ხუთივე ნაწილში.</u>

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა <u>მთლიან ტესტშიც.</u>

ყურადრებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას!

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ პასუხის გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 95, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 84.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 1. ლევან ბრეგაძის აზრით, რა ტენდენცია შეინიშნება ენის განვითარებაში ბოლო დროს?

ა) ლიტერატურული ტექსტები ნაკლებად იქმნება.
ბ) მედიის გავლენა სასაუბრო ენაზე სუსტდება.
გ) სალიტერატურო და სასაუბრო ენა მდიდრდება.
დ) სალიტერატურო და სასაუბრო ენა ღარიბდება.

(1) 2. ლევან ბრეგაძის აზრით, სოციალური ქსელების ზეგავლენით

ა) მეტყველების ტემპი უფრო ჩქარი გახდა.
ბ) სათქმელის სიტყვიერ ფორმაზე უფრო მეტს ვფიქრობთ.
გ) ტექსტის დასახვეწად მეტი დრო გვრჩება.
დ) წერით მეტყველებას დაუდევრობა ეტყობა.

(1) 3. ინტერვიუში სიტყვა „კონსენსუსთან“ დაკავშირებით ნათქვამია, რომ

ა) იგი მე-19 საუკუნეში დამკვიდრდა ქართულში.
ბ) იგი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება.
გ) იგი ყოველთვის ვერ ცვლის სიტყვა „შეთანხმებას“.
დ) მისი ზუსტი შესატყვისია „შეთანხმება“.

(1) 4. ჩამოთვლილთაგან რომელმა ნასესხებმა სიტყვამ ვერ დაიმკვიდრა ენაში ადგილი?

ა) ექსკლუზიური.
ბ) იმიჯი.
გ) პიარი.
დ) სტაქანი.

(1) **5. როგორც ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, ნასესხები სიტყვები მკვიდრდება მაშინ,**

ა) თუ ეს უცხო სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება.

ბ) თუ შემოსული სიტყვა აქაურ შესატყვისთან შეჯიბრში თავს ვერაფრით გამოიჩენს.

გ) როცა მისი ქართული შესატყვისი ზუსტად იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

დ) როცა მისი ქართული შესატყვისისაგან რაიმე ნიუანსით განსხვავდება.

(1) **6. ვის ციტატას იმოწმებს ლევან ბრეგაძე?**

ა) გრიგოლ ორბელიანის.

ბ) ერთ-ერთი პოლიტიკოსის.

გ) ერთ-ერთი ჟურნალისტის.

დ) ილია ჭავჭავაძის.

(1) **7. ლევან ბრეგაძის აზრით, რა შემთხვევაშია გამართლებული ენის მდგომარეობის გამო მღელვარება და წუხილი?**

ა) განსაკუთრებულ ვითარებაში.

ბ) როცა საფრთხეს ინსტინქტურად ვგრძნობთ.

გ) როცა შეშფოთების საფუძველი არსებობს.

დ) ყოველთვის გამართლებულია.

(1) **8. ვისი მოსაზრებაა, რომ სწორი მეტყველების თვალსაზრისით ყველაზე მეტად ჟურნალისტები და პოლიტიკოსები სცოდავენ?**

ა) გრიგოლ ორბელიანის.

ბ) ერთ-ერთი მკვლევრის.

გ) კორესპონდენტის.

დ) რესპონდენტის.

(1) 9. ლევან ბრეგაძის აზრით, ვინც სწორად მეტყველებს,

ა) ის სანთლით საძებარი ადამიანია.

ბ) ის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია.

გ) მან სხვებს მჭევრმეტყველება უნდა ასწავლოს.

დ) მას მიზნის მიღწევა უფრო უადვილდება.

(1) 10. რას ფიქრობს ლევან ბრეგაძე თანამედროვე ქართველ ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებზე?

ა) გამართული ქართულით მეტყველი ჟურნალისტები და პოლიტიკოსები სანთლით საძებარნი არიან.

ბ) ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს გააზრებული არა აქვთ რიტორიკის სწავლების საჭიროება.

გ) ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ბევრი გამართული ქართულით ლაპარაკობს.

დ) ყველაზე მეტად სწორედ ისინი სცოდავენ გამართული მეტყველების თვალსაზრისით.

(1) 11. რის შესახებ არ საუბრობს ლევან ბრეგაძე?

ა) ენის სიწმინდის.

ბ) ნასესხები სიტყვების.

გ) ჟარგონული მეტყველების.

დ) ტექსტის დახვეწის.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ რეზო ინანიშვილის მოთხრობა „მოხეტიალე მუსიკოსი“:**

შვედეთში, ზღვის სანაპირო სოფლებში, ზაფხულობით გამოჩნდებოდა ხოლმე ერთი მოხეტიალე მუსიკოსი. ძველისძველი გახუნებული ფრაკი ეცვა, ესევე დაძველებული შლაპა ეხურა. ერთი პატარა ნავი ჰქონდა, პატარა აფრადადგმული ნავი, ჭრელი პლედი და ვიოლინო. ნავს ნაპირთან მიაყენებდა, მშრალზე აათრევდა, ბუდეში ჩადებულ ვიოლინოს და პლედს გადმოიღებდა და სოფლის მყუდრო მოედანზე გავიდოდა. იქ ამოირჩევდა სუფთა და შემაღლებულ ადგილს. გაშლიდა გაზეთს ძირს, ზედ დადებდა სწორად დაკეცილ პლედს, პლედზე – ვიოლინოს ბუდეს, ვიოლინოს მხართან მოიმარჯვებდა და დაუკრავდა. სწრაფად გროვდებოდნენ მის ირგვლივ სოფლელები, დიდები და პატარები, შესცქეროდნენ მუსიკოსს და ზოგს ეღიმებოდა, ზოგი დაფიქრებული იდგა. ეღიმებოდათ ბავშვებს და ახალგაზრდებს, დაფიქრებულები კი ხნიერები იდგნენ. ისინი თითქოს რაღაც ძნელადგასახსენებელ ამბებს იხსენებდნენ.

მუსიკოსი რომ დაკვრას მორჩებოდა, შლაპას მოიხდიდა, თავის ირგვლივ შემოატარებდა და ისევ დაიხურავდა. კმაყოფილი მსმენელები ხურდა ფულს უყრიდნენ ვიოლონოს ბუდეში.

ხანდახან მოხეტიალე მუსიკოსს სოფლურ ნადიმებზეც იწვევდნენ. იმ ნადიმებზე მუსიკოსი უმთავრესად საცეკვაო მელოდიებს უკრავდა. თვითონ მშვიდად იდგა, ქალები და კაცები კი ცეკვავდნენ, ისეთი გატაცებით ცეკვავდნენ, სახეზე ალმური გადასდიოდათ. შესთავაზებდნენ სასმელს, მუსიკოსი დალოცავდა მონადიმეებს, ოდნავ შეახებდა ტუჩებს ჭიქას, და მერე ისევ თავის საქმეს განაგრძობდა, დიდის გულმოდგინებით უკრავდა.

ვინც კი მუსიკოსის წარმომავლობა იცოდა, მხრების აჩეჩვით ლაპარაკობდა. ერთნი ამბობდნენ, – ეგაო, დიდი მუსიკოსი ვერ გახდა და იმიტომ დაეხეტება სოფლიდან სოფლადო. მეორენი, პირიქით, – ეგ დიდი მუსიკოსი იმიტომ არ გახდა, სოფლიდან სოფლად ხეტიალი ამჯობინაო. არავინ იცოდა, ვინ იყო მთლად მართალი მათ შორის.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

ერთი რამ ცხადად ჩანდა. მუსიკოსი ხნიერი იყო, მაგრამ ძალიან მხნედ გამოიყურებოდა. თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა. ნავის ნიჩბების ხშირი ხმარებისაგან მკლავები დაჰკუნთოდა, თითებიც ძლიერი და მამაკაცურად ლამაზი ჰქონდა. ჭამით ცოტას ჭამდა. სმით, როგორც ზემოთაც ითქვა, არა სვამდა. ღამის გასათევის არჩევანშიც არ შედიოდა. ფარდული და სათივე ღვთის მოწყალებად მიაჩნდა. გაეხვეოდა თავის ჭრელ პლედში, თავქვეშ ვიოლინოს ამოიდებდა და უშფოთველი ძილით ეძინა.

ერთხელ მუსიკოსს ზღვაზე გაუავდრდა, ბურუსი ჩამოწვა, ზღვამ ღელვა დაიწყო, თანაც ღამდებოდა. მუსიკოსი მაინც ყოჩაღად მიცურავდა, ბოლოს სინათლე შეამჩნია, იმ სინათლისკენ წავიდა და მალე შუქურას მიადგა. ის იყო გადავიდა ნაპირზე, ნავი მშრალზე აათრია და ღვარცოფიც წამოვიდა. მუსიკოსმა თავისი ავლადიდება აიკრიფა და მთლად გაწუწულმა თავი შუქურას შეაფარა. იქ ერთი წვერგაბურდული კაცი დახვდა. ძალიან მრისხანედ გამოიყურებოდა. სამართებელივით მჭრელი დიდი დანით რაღაც ჩხირს თლიდა. მუსიკოსის მისალმებაზე მხოლოდ მძიმედ ამოიხედა, ნათქვამი კი, – ხომ არ შეწუხდებოდა, მის მყუდროებას რომ არღვევდა, – თითქოს არც გაუგონია. იჯდა, თლიდა და მუსიკოსს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. რამდენიმე ჩხირი რომ გათალა, წამოდგა, შუქურაში ასვლა დაიწყო. მაინც მუსიკოსი ცნობისწადილმა აიტანა, – შეიძლება, მეც ამოვიდეო? – და თუმცა მეშუქურისგან პასუხი არ მიუღია, მაღლა აჰყვა.

იქ, მაღლა, ვარვარა სინათლეში და ოხშივარში მოხვდა. ზღვის მხრიდან ქარს წვიმის ცივი წვეთები შემოჰქონდა. შუქურა თითქოს მიმოდიოდა, რომელიღაც მინა ძაგძაგებდა. მეშუქურე ჩაცუცქდა. დანის მძიმე ტარით კაკუნი ატეხა, მინა ჩააჩუმა, მანათობელ მოწყობილობას ხელის გაყოლებით გაჰყვა. აღტაცების გამომეტყველებით გაჩერებულ მუსიკოსს შეეხეჩა, თვითონაც გახედა კუპრსავით მდუღარე, შუქჩარეულ ზღვას და თითქოს თავისთვის თქვა:

– გემებს რომ გზა არ აებნეთ.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

ჩავიდნენ დაბლა. მეშუქურემ მუსიკოსს პური, თევზი და ხმელი ყველი გამოუღო. თვითონაც დაიწყო ჭამა. პურისა და ყველის ყოველ ლუკმას ბასრი დანით იჭრიდა და ნელ-ნელა ღეჭავდა. მუსიკოსიც მადიანად ჭამდა, თან თითქოს სულ ზღვისა და წვიმის ხმაურს უსმენდა. მაინც მოახერხა და მეშუქურეს გამოჰკითხა: ვინ იყო, სადაური იყო, შინ ვინ ჰყავდა. მეშუქურემ თითქოსდა სიამაყით თქვა:

– მე არავინ არა მყავს. მე მარტო ვარ, მთლად მარტო.

მუსიკოსი დაფიქრდა.

მერე მეშუქურემაც იკითხა სტუმრის ვინაობა. მუსიკოსმა რომ უთხრა, მევიოლინე ვარო, იქვე მიხვდა, მეშუქურემ ვერ გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა. მაშინ მუსიკოსმა ვიოლინო ზუდიდან ამოიღო, – აი, ეს არის ჩემი იარაღი, ამით ვაკეთებ ჩემ საქმესო, – ვიოლინო მხართან მიიტანა და ნელ-ნელა დაუკრა. მეშუქურე მშვიდად შეჰყურებდა. მუსიკოსმა ერთი მელოდია დაამთავრა. მეშუქურეს ისეთი თვალები ჰქონდა, მეორე მელოდიაც დაუკრა, მერე მესამე მელოდიაც დაუკრა. ბოლოს ვიოლინო მაგიდაზე დადო. მეშუქურემ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გაუსვა ხელი ვიოლინოს და გაღიმებულმა თქვა:

– კარგი საქმე გცოდნია. ადამიანების სულებს რომ არ აებნეთ გზა.

რამდენიმე წუთით ორი ადამიანი ნამდვილად ბედნიერი იყო.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 12. რა არის პირველი აბზაცის დანიშნულება?

ა) აღწეროს შვედეთის სანაპიროს შთამბეჭდავი სურათი.

ბ) გაგვაცნოს სოფლის მცხოვრებთა მძიმე ყოფა.

გ) წარმოგვიდგინოს ზღვისპირა სოფლის მცხოვრებნი.

დ) წარმოგვიდგინოს მოხუცი მოხეტიალე მუსიკოსი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რაზე მიგვანიშნებს შემდეგი ამონარიდი: „სწრაფად გროვდებოდნენ მის ირგვლივ სოფლელები, დიდები და პატარები, შესცქეროდნენ მუსიკოსს და ზოგს ეღიმებოდა, ზოგი დაფიქრებული იდგა. ეღიმებოდათ ბავშვებს და ახალგაზრდებს, დაფიქრებულები კი ხნიერები იდგნენ. ისინი თითქოს რაღაც ძნელადგასახსენებელ ამბებს იხსენებდნენ“?

ა) მუსიკოსი ახალგაზრდებს სასაცილოდ ეჩვენებოდათ, მოხუცებს კი ებრალებოდათ.

ბ) მუსიკოსის შემოქმედება ყველაზე მეტად ბავშვებსა და ახალგაზრდებს მოსწონდათ.

გ) მუსიკოსის შემოქმედება ყველა თაობის ადამიანზე თავისებურ ზემოქმედებას ახდენდა.

დ) სოფლის უღიმღამო ცხოვრებაში უცხო ადამიანის გამოჩენა დიდი ამბავი იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ მუსიკოსი უპრეტენზიო ადამიანია?

ა) „თავისი ავლადიდება აიკრიფა და მთლად გაწუწულმა თავი შუქურას შეაფარა.“

ბ) „თვითონ მშვიდად იდგა, ქალები და კაცები კი ცეკვავდნენ.“

გ) „ნავის ნიჩბების ხშირი ხმარებისაგან მკლავები დაჰკუნთოდა.“

დ) „ფარდული და სათივე ღვთის მოწყალებად მიაჩნდა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. რომელ ფრაზაშია გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი?

ა) „დიდის გულმოდგინებით უკრავდა.“

ბ) „თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა.“

გ) „მუსიკოსი ცნობისწადილმა აიტანა.“

დ) „სამართებელივით მჭრელი დანით თლიდა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. მეშუქურის რომელი თვისება ჩანს შემდეგ ამონარიდში: „აღტაცების გამომეტყველებით გაჩერებულ მუსიკოსს შეეხეჩა, თვითონაც გახედა კუპრსავით მდუღარე, შუქჩარეულ ზღვას და თითქოს თავისთვის თქვა: – გემებს რომ გზა არ აებნეთ“?

ა) ამპარტავნება.

ბ) გულგრილობა.

გ) შეშფოთება.

დ) პასუხისმგებლობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. რომელ ამონარიდშია წარმოჩენილი მეშუქურის ხასიათი?

ა) „დანის მძიმე ტარით კაკუნი ატეხა, მინა ჩააჩუმა, მანათობელ მოწყობილობას ხელის გაყოლებით გაჰყვა.“

ბ) „თვითონაც დაიწყო ჭამა. პურისა და ყველის ყოველ ლუკმას ბასრი დანით იჭრიდა და ნელ-ნელა ღეჭავდა.“

გ) „მუსიკოსის მისალმებაზე მხოლოდ მძიმედ ამოიხედა, ნათქვამი კი, – ხომ არ შეწუხდებოდა, მის მყუდროებას რომ არღვევ-და, – თითქოს არც გაუგონია.“

დ) „მუსიკოსმა რომ უთხრა, მევიოლინე ვარო, იქვე მიხვდა, მეშუქურემ ვერ გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 18. როგორი ადამიანია მეშუქურე?

ა) ერთი შეხედვით, მკაცრი და უხეში, მაგრამ ფაქიზი სულის მქონე.

ბ) ერთი შეხედვით, უპრეტენზიო, მაგრამ ამავე დროს ამაყი და მედიდური.

გ) მკაცრი და უხეში, მაგრამ თან განათლებული და ჭკვიანი.

დ) ჩუმი და მორცხვი, მაგრამ თან სტუმართმოყვარე და ხალისიანი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 19. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „თავქვეშ ვიოლინოს ამოიდებდა და უშფოთველი ძილით ეძინა.“

ბ) „თვითონაც გახედა კუპრსავით მდუღარე, შუქჩარეულ ზღვას.“

გ) „ზღვის მხრიდან ქარს წვიმის ცივი წვეთები შემოჰქონდა.“

დ) „ნავი მშრალზე აათრია და ღვარცოფიც წამოვიდა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 20. რის შესახებ არ არის ამ ტექსტში საუბარი?

ა) ერთმანეთის მიმართ ადამიანების გულგრილობის შესახებ.

ბ) შვედეთის ზღვისპირა სოფლების მყუდრო გარემოს შესახებ.

გ) ცხოვრების დანიშნულებისა და მიზნის შესახებ.

დ) ხელოვნების არაჩვეულებრივი ძალის შესახებ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 21. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?

ა) დიდ ქალაქში წარმატებულ კარიერას სოფლის მუსიკოსობა სჯობს.

ბ) სხვების სამსახური ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებს.

გ) ჭეშმარიტად დიდი ხელოვანები მიყრუებულ სოფელშიც ცხოვრობენ.

დ) ხელოვნება უხეშ და ბრიყვ ადამიანსაც აკეთილშობილებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(8) 22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 4 წინადადება ზედმეტია.

ქართული გაზეთი

პირველი ქართული გაზეთის გამოცემის იდეა 1818 წელს გაჩნდა, ხოლო თავად გაზეთი 1819 წელს გამოვიდა. (1) --------. სწორედ აქედან იწყება ქართული ჟურნალ-გაზეთების ისტორია.

პირველ ქართულ გაზეთს მოსახლეობისათვის უნდა გაეცნო ხელისუფლების განკარგულებები. (2) --------. გაზეთის გამოცემით ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეული მიზნის მიღწევას ცდილობდნენ. (3) --------. ქართველი მკითხველი კი გაზეთისაგან ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მიწოდებულ ინფორმაციებსა და პრობლემების მწვავე განხილვას ელოდა.

გაზეთში მოთავსებული მასალა სამგვარი იყო: პირველი საქართველოს სინამდვილეს ეხებოდა, მეორე – რუსეთისას, მესამე კი უცხოეთის ცხოვრებას ასახავდა. (4) --------. მას მასალას აწვდიდა სხვადასხვა დაწესებულება თუ კერძო პირი. რედაქციას ჯერ ქართულად უნდა ეთარგმნა რუსულ ენაზე შემოსული კორესპონდენციები და საჭირო უცხოენოვანი მასალები. (5) --------.

„ქართული გაზეთი“ გამოდიოდა პარასკეობით, წლიური ღირებულება 3 მანეთი და 20 კაპიკი იყო. (6) --------. ამასთან, საზოგადოების ნაწილს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ზოგადად გაზეთზე, ზოგმა წერა-კითხვაც არ იცოდა და ხელმომწერთა მოგროვება საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. (7) --------.

მიუხედავად არსებობის მოკლე პერიოდისა, გაზეთმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში. (8) --------. სწორედ ამიტომ, მან სამართლიანად დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ამის შემდეგ ეწყობოდა გვერდები და იბეჭდებოდა გაზეთის ნომერი.

ბ) ამიტომაც დღემდე გაურკვეველია, თუ ვინ იყო პირველი რედაქტორი.

გ) გაზეთზე წმინდა გიორგის გერბი სწორედ 1820 წლიდან გამოჩნდა.

დ) გარდა ამისა, მკითხველისათვის უნდა მიეწოდებინა პოლიტიკური ვითარებისა და სოციალური ყოფის ამსახველი უახლესი ცნობები, კულტურული ცხოვრების საინტერესო სიახლეები.

ე) ეს ფასი გამომცემლებს ძვირად არ მიაჩნდათ, მაგრამ მოსახლეობას მისი შეძენა მაინც უჭირდა.

ვ) თითო გვერდი ამის გამო გაყოფილი იყო ორ-ორ სვეტად.

ზ) მან გააფართოვა მკითხველის ცოდნის არეალი და მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

თ) მას თავდაპირველად „საქართველოს გაზეთი“ ეწოდა, ხოლო შემდეგ – „ქართული გაზეთი“.

ი) მისი საშუალებით მათ საკუთარი ინტერესების დაცვა სურდათ.

კ) სწორედ ხელმომწერთა სიმცირის გამო შეწყდა მისი გამოცემა 1821 წელს.

ლ) ქართულ გაზეთზე ცენზურა ამიტომ უფრო ძნელი განსახორციელებელი იყო.

მ) ქართული რეალობის შესახებ კორესპონდენციებს გაზეთი ქვეყნის ყველა კუთხიდან იღებდა.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(10) **23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს** ***(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).***

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

1. მოტივაცია არის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე უბიძგებს. ინტელექტის მსგავსად, მოტივაციის განზოგადება საკმაოდ რთულია, რადგან ის ყოველ ინდივიდში თავისებურად ვლინდება. მაგრამ მეცნიერებმა მაინც შეძლეს მისი ახსნა. არსებობს ორი სახის მოტივაცია: შინაგანი და გარეგანი. ალბათ ყველას სმენია ასეთი ფრაზები: „ისწავლი გაკვეთილებს, გაგიშვებ მეგობრებთან“, „ვერ ჩააბარებ გამოცდებს, არ წახვალ ზღვაზე“. ამ შემთხვევაში მოტივაცია ყალიბდება სქემით: „სტიმული-რეაქცია“, სადაც სტიმული არის ერთგვარი ჯილდო, რომელსაც ადამიანი იღებს რაღაც სამუშაოს შესრულების შედეგად ან, პირიქით, სასჯელი, რომელსაც ცდილობს თავი აარიდოს შესაბამისი მოქმედებით. ეს არის მოტივაციის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა, ეგრეთ წოდებული გარეგანი მოტივაცია, როცა სამუშაო სრულდება რაიმე მოთხოვნის შესაბამისად.

2. არსებობს სხვა სიტუაცია – როცა ადამიანი თავდავიწყებით საათობითაა დაკავებული იმ საქმიანობით, რომელსაც არავინ ავალდებულებს. ნიჭიერი პიროვნება ბავშვობიდან სწორედ ასე ამჟღავნებს საკუთარ შესაძლებლობებს, უნარებს – იგი გატაცებით აკეთებს საყვარელ საქმეს და ისეთი ბედნიერია, რომ საერთოდ ვერ ამჩნევს, როგორ გადის დრო ან რა ხდება ირგვლივ. ეს შინაგანი მოტივაციის მაგალითია. როგორ ვლინდება იგი ყოველ ჩვენგანში? დღეს თანამედროვე ადამიანი ისეა უამრავი პრობლემითა და ვალდებულებით დატვირთული, რომ მისი შინაგანი მოტივაცია მიძინებულია. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იფეთქოს მთელი ძალით, როცა ის საყვარელ საქმეს ემსახურება.

წინადადებებზე გადასვლა

3. შინაგანი მოტივაციის მქონე ადამიანები უფრო წარმატებულნი არიან და აქვთ მაღალი შემოსავალი. გამოირჩევიან პოზიტიური დამოკიდებულებით ცხოვრებისა და გარშემომყოფთა მიმართ. ისინი შეუპოვრები და შრომისმოყვარენი არიან. როგორც წესი, ამჯობინებენ კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობას. უმოტივაციო ადამიანებს კი ხშირად ექმნებათ პრობლემები ახლობლებთან. როგორც წესი, უკმაყოფილონი არიან შემოსავლით, ახასიათებთ მოწყენილობა, უნდობლობა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ, ხშირად საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ ხოლმე. აქვთ რუტინული ცხოვრების წესი.

4. მოტივაციის დაქვეითების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დაბალი თვითშეფასებაა. რაც უფრო დაბალია ადამიანის თვითშეფასება, მით უფრო ნაკლებია მისი მოტივაციაც. ადეკვატური თვითშეფასების მქონე ადამიანისათვის კი პრაქტიკულად არ არსებობს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრები.

5. მოტივაციის ამაღლებაზე მუშაობა ადრეული ასაკიდან იწყება. კარგია, როცა სწავლის პროცესში ყურადღება მახვილდება არა ნიშნებზე, არამედ სწავლის მოტივაციაზე. ბავშვი თუ შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს – საკმარის დროს უთმობს გაკვეთილის მომზადებას და მეცადინეობს, როგორც შეუძლია, ეს უკვე წარმატებაა, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა მაღალ ქულას. პედაგოგები არ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი სწრაფ შედეგებზე. როდესაც სწორად და სისტემატურად მუშაობენ ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე, მაშინ მიზანიც მიღწეულია ხოლმე.

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	დიახ	არა	აბზაცის N
0.	გარეგანი მოტივაცია ნიშნავს, რომ ადამიანი გარკვეულ სამუშაოს რაიმე მოთხოვნის შესაბამისად ასრულებს.	X		1
1.	გარკვეული მიზნის მიღწევაში ადამიანს მოტივაცია ეხმარება.			
2.	დაბალი მოტივაციის მქონე ადამიანებს საკმაოდ მაღალი თვითშეფასება ახასიათებთ.			
3.	თანამედროვე ადამიანი უამრავი ვალდებულებითაა დატვირთული, თუმცა მისი შინაგანი მოტივაცია მაინც მაღალია.			
4.	მოტივაცია ყველა ადამიანში განსხვავებული სახით გამოიხატება.			
5.	მოტივირებული ადამიანები გარე სამყაროს მიმართ დადებითად არიან განწყობილნი.			
6.	მოტივირებული ადამიანებისათვის არ აქვს მნიშვნელობა კონკურენტუნარიან გარემოში იმუშავებენ თუ არა.			
7.	მხოლოდ დასჯის შიშს შეუძლია აღძრას შინაგანი მოტივაცია.			
8.	როდესაც ადამიანი ადეკვატურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, მისთვის მიუღწეველი მიზანი არ არსებობს.			
9.	სწავლის პროცესში ბავშვის მოტივაციის ასამაღლებლად უმჯობესია ყურადღება მაღალ ქულებზე გამახვილდეს.			
10.	შინაგანი მოტივაცია ნიშნავს, რომ ადამიანი სიამოვნებით აკეთებს ისეთ საქმეს, რომელსაც არავინ ავალდებულებს.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

აუცილებელია, რომ მასწავლებელმა დადებითი განწყობა გამოხატოს იმ მოსწავლეთა მიმართაც, რომლებიც სისტემატურად ზარმაცობენ და გაკვეთილის მსვლელობის დროს ხელს უშლიან მას.

N 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

IV. პროფესიული ცოდნა (25 ქულა)

(10) 25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ *(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
ცნობილი ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე მოღვაწეობდა მე-XIX საუკუნეში. სასულიერო	00. --------- XIX ----------
სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი ფილოლოგიით დაინტერესდა, დამოუკიდებლად	0. ---------- √ ----------
დაეუფლა ქართულ და სომხურ ენას, შეისწავლა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული	1. ----------
ხელნაწერები და გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. ასე გაიცნო საზოგადოებამ მარი ბროსე.	2. ----------
სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად იგი მეფე კარლოს X-ეს რჩევით აპირებდა	3. ----------
საქართველოში გამგზავრებას. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ჩანაფიქრის განხორციელება	4. ----------
მაშინ მან ვერ შეძლო, მაგრამ სამეცნიერო მუშაობა არ შეუწყვიტავს. წლების განმავლობაში	5. ----------
მკვლევარს საყურადღებო რჩევებით ეხმარებოდა თეიმურაზი ბატონიშვილი, რომელთანაც	6. ----------
ჰქონდა სისტემატიური საქმიანი მიმოწერა. 1838 წელს ბროსე აირჩიეს პეტერბურგის	7. ----------
მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1847 წელს ის ჩვენ ქვეყანას ეწვია. შემოიარა თითქმის	8. ----------
მთელი საქართველო, შეკრიბა და შეისწავლა უამრავი მასალა. თავის გამოკვლევებით მარი	9. ----------
ბროსემ ხელი შეუწყო ქართველოლოგიის განვითარებას ევროპაში.	10. ----------

NN 26-37 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები (შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები).

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, NN 26-35 დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას გაასწორებთ და არ დაწერთ დავალების პირობის შესაბამის განმარტებას.

(1) 26. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მხოლოდ რამდენიმე ბავშვმა შეძლო დავალების სწორედ შესრულება.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(1) 27. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ყველაზე მეტად ამ კაშნის ფერი მომწონს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 28. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *პატარა ნიკო უკვე ნამდვილი ფილატელისტია და მისი კოლექციისთვის ხშირად ყიდულობს ახალ-ახალ მარკებს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 29. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ყველა ჩვენს შესახებ ლაპარაკობდა.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 30. მოსწავლემ დაწერა სიტყვა: *ამღზარდა.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 31. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *გოგონა ბაღში ყვავილები რგავს.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 32. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ჩიტები ხის ტოტზე იჯდნენ და მხიარულად ჭიკჭიკებდნენ.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 33. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მაიას წერილი მივწერე, ხვალ საღამოს მეწვიეო.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 34. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ბავშვი იმისთვის დაიღალა, რომ ბევრი ირბინა.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) 35. მოსწავლემ წაიკითხა კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება:*„როდის იწყება შეჯიბრება?“* და მახვილი ბოლო სიტყვაზე დასვა.

განუმარტეთ მას, როგორ უნდა წაიკითხოს ამ ტიპის წინადადება.

(3) 36. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *ყურადღებით მოვისმინე ყველა შენიშვნა, რომელიც მეგობრებმა პროექტთან დაკავშირებით მომცეს.*

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) რა ტიპის შეცდომაა დაშვებული მოცემულ წინადადებაში?

გ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 37. იმსჯელეთ, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურიდან აკაკი წერეთლის რომელ ნაწარმოებს შესთავაზებდით თქვენს მოსწავლეებს წასაკითხად და რატომ.